2021 წელი

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სისტემისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა - (30 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4 180	4 227.9	4 184 .8	98.9%	432.4

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;

ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონარული მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება.

საანგარიშო პერიოდში დადგენილი წესით ჩატარებული იქნა სამხედრო-საექიმო კომისიები;

ქვეყანაში COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებში ჩართული სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის საანგარიშო პერიოდში შეძენილი იქნა შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა (ერთჯერადი სამედიცინო პირბადე - 6 100 000 ცალი; ერთჯერადი

ხელთათმანი - 2 159 000 ცალი; კომბინიზონი - 4 373 ცალი.) სადეზინფექციო საშუალებები და სხვადასხვა სამედიცინო სახარჯი მასალები.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

ბენეფიციართა უზრუნველყოფა თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით

მიღწეული საბოლოო შედეგები

თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2019 წელს სამსახურის ბაზაზე (არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მომართულ კონტინგენტთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტებთან განხორციელდა 78 108 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 7 367 პაციენტს; განხორციელდა 15 525 სხვადასხვა ულტრაბგერითი კვლევა; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 5 598 გამოკვლევა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 12 629 პროცედურა; რენტგენოგრაფიულად გაშუქდა 12 778 პაციენტი; ჩატარდა 94 268 სხვადასხვა ლაბორატორიული კვლევა; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 1 348 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 5 298 სამკურნალო პროცედურა; სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა 4 851 პირმა. სხვადასხვა კლინიკებში (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 2 115 პაციენტს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნებულია 2021 წელს სამსახურის ბაზაზე (არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოხდა მომართვების 100%-ის სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა 58 086 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 4 819 პაციენტს; ჩატარდა 10 758 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 525 პროცედურა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 11 185 პროცედურა; რენტგენოლოგიის კაბინეტში - 14 356 პროცედურა; ჩატარდა 80 624 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 1 110 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 1 309 სამკურნალო პროცედურა; ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა 3 895 პირმა, 1 207 წვევამდელმა და 170 სამოქალაქო პირმა.